

გაზეთის ფასი

მაგზავნიტ ტფილისში და გარეშე ადგილებში:	ბაზუგავენელათ:
პირთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
კალკე ერთის ნუმრისა გაუზავნელათ — 3 შაური.	

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება



ხალის-მოწარა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრები: **Въ Тифлисѣ. Въ конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.** რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. **ფასი** განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძების ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

### შინაარსი:

პოლიტიკა: ისპანია. — შრანცია. — იტალია. — შვეიცარია. — მსმალეთი. — ტელეგრაფები. — საქორა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა თუ არა. — ლექსი „მებაღე“. — შელტონი. — სავაჭრო ცნობები. — განცხადება. — მ. მუთაისის შემოსავალ-გასავალი.

## კოლიტიკა.

### ისპანია.

მადრიდი, მაისის 6-ს. — ბუშინ ქარტესებმა დაამტკიცეს ორი მუხლი კონსტიტუციის კანონებისა, რომლებიც შეეხებიან სარწმუნოებას. ეს კანონები აწესებენ ისპანიაში სარწმუნოების თავისუფლებას. პრთი ამ კანონთაგანი აწესებს, რომ კათოლიკების სამღვდლოება სახელმწიფო ხარჯზე უნდა სცხოვრებდეს. ამ უკანასკნელი საგნის სასარგებლოდ რესპუბლიკელებმა თავიანთი

## შელტონი.

### II.

### წიგნი მუთაისელ მემოარათან.

ჩემო საყვარლო მემოარათან, როსტომ! ამას წინეთ, თუ გახსოვს, მოგწერე რამდენიმე სიტყვა აქაურ ქალებზე. ძალები — ისეთი სალაპარაკო საგანია, რომ რამოდენიმე სიტყვა კი არა, ერთი ოჯმა ქაღალი რომ დაწვერო იმათზედ, კიდევ ბევრი დამრჩება სათქმელი; ნამეტურ მოხუცებულს — უძლიერ კაცს, შენც იცი, როგორ უყვარს ქალებზე ლაპარაკი; იქნება გავგონოს რუსული ანდაზა: „მოხუცებულს წვერებში ქაღარა აქვს და გვერდებში ეშპაკი უზისა“. — შევლაზე უფრო მე მაკვირებს აქ გასათხოვარი ქალების რიცხვი. — თუ გახსოვს, ერთხელ მოცილილობის დროს მე და შენ გამოვიანგაროშეთ-რამდენი გასათხოვარი ქალია ქუთაისში; თუ არ ესტადები, ჩვენ ჩამოეთვალეთ სამოცდა თხუთმეტამდე თუ ოთხმოცამდე. აქ ბალავინის პრასპექტზე რო დაჯდე, მერწმუნე, ერთი საათის განმავლობაში დასთელი ოთხმოცს ქალსა, რომელნიც შენ წინ გაივლიან და რომელნიცა, ვგონებ, მოუთმენელად მოვილიან იმ დღესა, როცა თავის საქმროსთან გვირგვინ ქვეშ დადებენ საყდარში. — პრთი საათის განმავლობაში თუ ოთხმოცს დაინახავ, მაშ სულ მბრალისში რამდენი უნდა იმყოფებოდეს, წარმოიდგინე; მე გგონია ათჯელ ოთხმოცი მაინც! ამოდენა ქალებს გათხოვება არ უნდა? საქმროები არ უნდა! ამოდენა ქალებს მზითვეი არ უნდა? — მე შემინიშნავს, რომ ხშირად ქალიც არის, გათხოვების სურვილიც არის და მზითვეიც არის; მაგრამ საქმროები კი ძნელად იპოვებიან. უნდა უყურო აქაური ქალების დედებ-რა რიგათ ეძებენ სასიძო ყმაწვილ კაცებს; სწორეთ თავს ევლებიან, თუ რომელიმე ყმაწვილ კაცზე იმედი აქვთ. საქმროებიც, რასაკვირველია, ფხვს იდგმენ; ისე იაფათ არ ჰყიდიან თავის თავსა და

ხმა არ მისცეს, და წინააღმდეგნიც იყენენ ამისი. ეს უსიამოვნობა ქალებიარმა გამოსთქვა რესპუბლიკელების მხრით და თითონ კი დაუშაბა: „მე ძალიან მიხარია, რომ ისპანიაშიც დადგა დრო უცხო სარწმუნოებაების უნებყოფლობისა“. საზოგადოთ გუშინდელი სხდომა ძალიან შესანიშნავი იყო.

— ბარცელონაში კარლისტებს განუზრახავთ რევოლუციის მოხდენა, მაგრამ მმართველობას შეუტყუია და კიდევ დაუტყუსალება ასს კაცამდე. ტუსალების რიცხვი ორი პოლკოვნიკი ყოფილა, რამდენიმე ჯარის აფიცრები და სალდათები, ერთი ბერი და ოცდა ათი მღვდელი. იმათთვის წაუერთმევიათ თოფიარალი და დოკუმენტები. მონქუის ფორტშიაც რამდენიმე ურიადნიკები დაუქვრიათ, რომლებსაც განზრახულებაში მონაწილეობა ჰქონიათ. ამიტომ იკვებოდნენ თურმე კარლისტები, რომ ორი ციხე ხელში გვიჭირავსო: პამპელუნა და მონქუი. პრთს პროკლამაციაში კარლისტები ურჩევენ ხალხს მსპარტეროს მოკლას, რადგანაც სულ იმისი საქმეა, რაც ურთიერთ შორის ომი-

რაც შეიძლება-მეტს მზითვეს თხოულობენ. თავის თავის გასამართლებლად იმათ დიად-დასარწმუნებელი საბუთები და დამტკიცებები აქვთ; ისინი ამბობენ: ქმარმა რათ უნდა არჩინოს თავის ცოლ-შვილიო; (როგორ მოგწონს ეს, ჩემო როსტომ!) მანათლებულ ქვეყნებში ქალს აქვს იმოდენა უფლებები, რამდენიც კაცსაო; ამის გამო იმას (ე. ი. ქალს) ისე კარგათ შეუძლია თავის თავისა და შვილებისა დარჩენა, როგორც კაცსაო; ჩვენში კი ქალსა არაფრის გაკეთება არ შეუძლია და ვერც ვერაფერს ვერ შეიძენსო. მზითვეიც მიტომა გვინდაო, რომ ჩვენი ცოლები ჩვენგან არ იყოს „დამოკიდებული და დამონაგებულიო“. ეს რასაკვირველია, ძლიერ კარგი სიტყვაა!... მსათუოთ ურჩევე ჩემ შეილსა, რომ, თუ სამასი თუმანი არ ექნა მზითვეი, არას გზით არ შეირთოს ქალი ნიუტონსავეთ ჰქუიანი, გველსავეთ ღრმა — გონიერი და ანგლოზსავეთ კეთილი და ლამაზი რომ იყოს მაინცა.

უკანასკნელ წიგნი შენ მთხვე მოგწერო, როგორ ვატარებ მე დროსა. ძალიან კარგათ, ჩემო როსტომ. საქმის კაცმა იკითხოს, თორემ ჩემისთანა უსაქმოს რა უშავს; დროს გასატარებლად ჩამოვედი და კიდევაც ისე ვატარებ დროსა, როგორც კეთილშობილ კაცს შეგვერის, ე. ი. როგორც შექსპირის შალსტაფი ამბობს, დღეში მარტო ერთხელ მიეღივარ საქეფო ადგილებში და კვირაში მარტო შეიდეჯერ მეგობრებთან ქაღალდს ვთამაშობ; დანარჩენ დროს კი საქმეს ვაკეთებ, ე. ი. მიძინავს. — მისაც დროს ვატარებ უნდა, მბილისში კი მონახავს ის საშუალებასაც, და ადგილსაცა. შოველ დღე ვატყობინებენ ხოლმე, რომ დღეს ამა და ამ ბაღში მუზიკა, ან წარმოდგენა რამ იქნებაო. აქ არის Sans-souci („ღარდის განმაქარებელი ბაღი“), Mon-plaizir (ჩემი სიამე“), აქ არის Книжъ грусть („ღარდი მოიშორე“) და Нескучный садъ („მოუწყინარი ბაღი“); მაგრამ „მუშტილი“ კი მართლა ყველას სჯობია, ცოტა შორს

ნობაში სისხლი დაიდგრაო. შოვიათ აგრეთვე ქარლოსისაგან ხელმოწერილი სიგელები, რომლითაც ზოგიერთ პირთ ეძლევათ ქარლოსიაში სამხედრო და სამოქალაქო მაღალი ხარისხები. — მაზეთების კორრესპონდენტები იწერებინ ისეთს ცნობებს, რომ ვითომც ბარცელონის განზრახვა იზაბელლას მომხრეებისაგან არის შემდგარიო.

— მაისის 9-ს. მაშხედაობა კარლისტებისა უზომოა. ისინი იძახიან თავიანთ გაზეთებში: „სარწმუნოების თავისუფლება ისპანიაში არ შეიძლება, ღმერთმა ადღეგრძელოს საერთო კათოლიკობაო! მანველი ერეტიკებოო! ღმერთმა ადღეგრძელოს ქარლო VII!“ შიგ ისპანიის ტახტის ქალაქში ამ გვარი ამბები ხდება. ნაფორაში, მისკაიაში და ქარლოსიაში ცხადათ ემზადებიან სამართ. ტაფალაში მეორეთ მიხდა სისხლის ღერა. სამღვდლოება ავლინებს ხალხს ვოლონტერებისა და სალდათები საწინააღმდეგოთ. ბარცელონის ვოლონტერებმა სთხოვეს მმართველობას 5,000 თოფ და რამდენიმე ზარბაზნები, კარლისტების ზისაგერებლათ. — სწრაფათ ახლო-

არის თორენა; — აქ არის ეხლა კიდევ სურის ცირკი. — მხლა მითხარი, ჩემო როსტომ, სადაც ამოდენა დროს გასატარებელი ადგილებია, იქ როგორ უნდა მოსწყინდეს კაცსა! ძეთილ-შობილსა კაცმა ყოველთვის უნდა ისარგებლოს აისთანა ადგილებით და კიდევაც სარგებლობენ, როგორც ვხედავ; სადაც არ ყოფილივარ ამისთანა ადგილებში, ყველგან ძრიელ ბევრი ხალხია. არც მაინცა და მაინც ძვირად დაუჯდება კაცს ამ ბაღებში დროს ვატარება: დეტონი-ფექათ-მანეთი, ბაღში შესვლისათვის — მანეთი; თუ მოგვიდა და ეახმის მირთმევა ინებე-არ მანეთამდე დაგეხარჯება; სულ რო გამოვიანგარიშოთ ხუთი მანეთით როგორც იქნება ვადარჩებთ; ხუთი მანეთი-რა უნდა იყოს იქ, სადაც ნესტოებს მშვენიერი ჰაეა ატკობს, ყურებს მშვენიერი მუზიკა და გემოვნებს მშვენიერი (თუმც ცოტათი ჯიბის შემამსუბუქებელი) ვახშამი. ამას გარდა ვისაც მენერას ხილვა და თაყვანის ცემა ჰსურს, ის უსათუოდ აქ უნდა მოვიდეს, რადგან შეუძლია აქ იმის ხილვა და თაყვანის ცემა. — პრთი სიტყვით, როგორც უნდა, რა ნაერთაც უნდა, ისე შეუძლია კაცს ამ ბაღებში დროს ვატარება.

მხლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, სურის ცირკი. ამაზე უკეთეს რაღას ნახავს კაცი! ბუშინ განხლი ცირკში და მართლაც შესანიშნავი სანახავეები ვნახე. პირველად უნდა გამოსულიყო სცენაზე უ. ძასსინო; აფიშაში ეწერა: „უ. ძასსინო აჩვენებს გაჭიმულ თოკზედ გასაოცარ სიმარდესა“. — ამა ვნახოთ, ვფიქრე, რა გასაოცარ სიმარდეს გვიჩვენებს ეს ძასსინო; ერთიც ვნახოთ, შემოვარდა ვილაც გატინტრიქებული კაცი და კატასავით შეხტა გაჭიმულ თოკზედა; დაიკავა დიდი ჯოხი ხელში და დაიწყო ისე თავისუფლად სიარული, ცეკვა და ხტომა თოკზედ, თითქოს დედა მიწაზედ ყოფილიყო; ყირამალაზედ გადადის, ერთი დახედვ! ძრისტიანო, არ ჩამოვარდენ, არ გვანახეო საცოდაობა! უ. ძასსინო, ღმერთმანი, დაგვაფიცებენ! ბოლოს

დება დრო მმართველობის სახის დაწესებისა. ქარლოსისა, ანდალუზიისა და სხ. რესპუბლიკელები თხოულობენ, რომ, თუ საქმე მონარხიული მმართველობის სასარგებლოდ გადასწყდება, მაშინ იმათი მომხრეები გამოვიდნენ კონგრესიდეგან. ამ პარტიას ჯერ დაბოლოებით არა გადაუწყვეტია რა; მაგრამ გუშინ მორენზემ კი სთქვა, რომ მიეტოვებდნენ პუტატობას ზემო აღნიშნულს შემთხვევაში; სხვა წინამძღვრებიც ასეთისავე აზრისანი არიან. რესპუბლიკელების გარემოება აქამდინ კარგი იყო; ამ ძნელს საქმეში, ე. ი. მმართველობის სახის არჩევაშიაც, სურთ არაფერი წაგონ. სერრანოს სურდა მოელაპარაკნა ამ პარტიასთან, მაგრამ იმისი აზრი რეგენტობის გამართვაზე არ მიიღეს. — პრთი ცილიობს მიუახლოვდეს რესპუბლიკელებს. სახელიოთ პრთი მიიწვია იმათი წინამძღვრები — შიგერასი, მორენზე და ქარლოსიარა მოსალაპარაკებლათ.

### შრანცია.

პარიჟი, 13 მაისს. დღეს ბირჟაზე ფონდებმა აიწია, იმ ხმის გამო რომ, ვითომც

იწყუბა თოკიდან, გარდაბრუნდა ჰაერში და კატასავით დადგა მიწაზე ფეხებით. მაღლობა შენთვის, შფალო, რომ არ მოგვანახვ საცოდაობა! — ძასსინოს შემდეგ გამოიყენეს ცხენი და თან შემოჰყვა პაულინა-ქალი. პაულინა შეხტა დარდმანდულად ცხენზე და დაუწყო ჰენება; მაგრამ მარტო ჰენებით არ დაგვაკმაყოფილა: ის ხან ფეხებზე დამდგარი აქვენებდა, ხან ახტებოდა და ხან ისევე დახტებოდა; ხან მარტო ცალი ფეხით იდგა ხოლმე ცხენზე და მეორე ფეხს ამ დროს ისეთ ნაირად გამოაშვერდა მაყურებლებისაკენ, რომ, შენ რო ყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, ზნეობითი გრძობა აგემღერეოდა და იქნება კიდევ გავარდებოდი ცირკიდან. ძაცების ესეთი სიმარჯვე და გაწრთენა დიად გასაკვირველია, მაგრამ უფრო გასაკვირველი სურის ცხენებია: რასაც არ ეტყვი, ბატონო, ყველაფერი ესმის; ეხლა ცეკვა: ისე ლამაზად აყოლებს მუზიკას ფეხებს, რომ მე და შენ, რომ ასე ვცეკვავდეთ, გგონია, ზეცას მადლობა შეგსწიროთ. — ცხენებიც კიდევ არაფერი: შენ უნდა ნახო ვირი, ეს ჩვენი სისულელის წარმომადგენელი ვირი — რანაირათა ჰყავთ გაწრთენილი; მერწმუნე-ბევრზედ უფრო ჰქუიანი და გამგებია ეს ვირი; ამას კაცის მაინც ესმის რამ. ხალხი სულ დაიხოცა სიცილით. უნდა გვეყურებია, როსტომ, რა ტაშის ცემით და ხარხარით მიეგება პუბლიკა ამ ვირს; ცხენი სრულებით დაეიწყდათ. ეს ხშირად ასე მომხდარა ხოლმე: როცა ვირებს დარჩენათ მოედანი, მაშინ ცხენებს სრულებით მოჰკლებიათ კაცებისაგან პარტიის ცემა!...

შენი ლაზარე მესხი — შვილი.

თბილისი 1869 წ. 20 მაისს



აქეს ბოლშევიკი, ს. ტენინის ახლოს, ყოველ წელიწადს სარგებლობს თავის ბაღიდან 10,000—24,000 გულდენამდინ \*) (6,400—15,360 მანეთამდინ).—ანჟეროდამ(შრანციაში)1863 წ. გამოიტანეს 30,000 ფუთი ვაშლი, და მსხალი, 4,000 ფუთი მარწყვი, 5,000 ფუთი ალუბალი; მარტში და აპრილში გამოიტანეს 60,000 ფუთი ყვავილიანი კომპოსტო.—ქ. ბორდოდან და მის გარემო ადგილებიდან წაიღეს პარიჟში რკინის ჯოხით 180,000 ფუთი ახლათ შემოსული მწვანეფულები და ახალი ხილი.—წყლით გაიტანეს 780,000 გამხმარი ხილი. 2)

ჩვენ შიდა მოაქეთ მრავალი გამხმარი ხილი საზღვარ გარეთიდან, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყანა ისეთ პირობებ შუა არის ჩაყარნილი, რომ ჩვენ უნდა გავგვარდეს აქედან.—მაგეშისტერის ანგარიშით, ძახეთის ვენახებში მოდის წელიწადში 1 1/2 მილიონი ვედრო ლენო; უჭირავთ ადგილი ცენახებს 7,500 კვადრატ დიუმი... თითო ვედრო ლენო ვიანგარიშით 1 მან. და 50 კაპ.—შესდგა მთელის წლისა შემოსავალი 2 მილიონი და 250 მან. ეს მაგალითი გემეტყვიებს, რომ ჩვენი მხარე ბუნებრივად ძალიან მდიდარია.—ვენახებს ჩვენ ვხედავთ ისევე იმ დგომარობაში, რომელშიაც იყო რამდენიმე წლის წინათ.—მომატებული მოვლა რომ ჰქონდეს, ეჭვი აღარ არის, რომ ერთი ორათ, სამათ მეტი შემოსავალი გვექნება.—

ამის შემდეგ, მე ვგონებ, საჭირო აღარ არის მის გამოვრება, რაცა ესრქვი „დროების“ 44-ს ნომერში, ესე იგი რომ ჩვენთვის საჭიროა ურთიერთის შემწეობა.—შოველი კაცი, ვინც კი ცოტათი დაფიქრდება, მიხედება, რომ ჩვენ კერძო კაცებს არა გვაქვს შეძლება და სიმდიდრე, ერთ ჩაცვინული სიღარიბეში.

ჩემის ფიქრით, საშუალება, რომლითაც შეიძლება გადავირჩეთ ამისთანა გარემოებებს, მდგომარეობს ასოციაციებში, რომლებიც ეკუთვნის საკუთრად მეურნეობას.—

ხალხის გამდიდრება მაშინ შეიძლება, როდესაც ხალხის საშუალებას აქვს იმისთანა მიმართულება, რომელიც გამოიხმობს სასოფლო მეურნეობის გავრცელებას.—სასოფლო მეურნეობა შეიძლება დავარქვით იმ მეურნეობას, რომელიც არის დაფუძნებული ბუნებითი საგნების სწავლაზე, შეუსტომებელ ანგარიშზე.—როდესაც ხალხის შრომა არის მიქცეული იმისთანა ნივთების შემუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს მხოლოდ გაფუჭებულს გემოვნებას, მაგალითად მდიდრული ტანთსაცმელი, როდესაც მომატებული ნაწილი ხალხის სიმდიდრისა იხარჯება უსარგებლო საგანზე, მაშინ როდესაც პირველი საჭიროება ხალხისა, როგორც მიწის შემუშავება, სასოფლო მეურნეობა რჩება უყურადღებო და ამით დროს მომდინარეობით ხალხს უფრო და უფრო აკლდება ნამდვილი მოთხოვნილების საჭიროების დაკმაყოფილება, მაშინ გავიმეორებ, არ შეიძლება, რომ ხალხის გონებამ და სწავლამ მიიღოს წარმატება; მისთვის რომ როდესაც საზოგადოებაში მომატებულათ გავრცელებულია დაკმაყოფილება მხოლოდ გაფუჭებულის გემოვნებისა, მაშინ მომატებული ნაწილი მშრომელი კაცებისა იქნება მიქცეული მხოლოდ ამ გემოვნების დასაკმაყოფილებლად და სხვა სასარგებლო საქმე, რომელსაც მოზრდევს ნამდვილი გამდიდრება, როგორც ნივთიერებისთვის, ისე ზნეობით და გონებისთვის შესახებდროებაში — რჩება უკან და მიწის შემუშავებაშიაც არიან გართულნი იმდენი მშრომელი კაცები, რომელთაც შეუძლიან მოიყვანონ იმდენი პური, რომ ხალხისთვის საკმაო იყოს.—ამის გამო ჩვენ ვერ უნდა ვეცადოთ, რომ ხალხში გავრცელდეს ნივთიერებითი სიმდიდრე, რომელზედაც განსაკუთრებით არის დამოკიდებული გავრცელება რო-

გორც ზნეობისა, ისე გონებისა.—ჩვენ, ეჭვი აღარ არის, უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი შეძლება და ძალა იმისთანა საქმეს, რომლის საშუალებითაც გავიმეორებთ ფესს კაცობრიობის მოძრაობაში; ამის გამო ჩემის ფიქრით, დრო არის მიხედვით სასოფლო მეურნეობას.—იქ, სადაც კაცის შეძლება ვერ გასწვდება მამულის შემუშავებას, ეცადოთ რომ მოვიპოვოთ ამხანაგები და შეერთებული შრომით მოვიკიდოთ ხელი უსაჭიროესს საქმეს.—

თუმცა ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ უნდა გავმართოთ საკუთრად სასოფლო მეურნეობის ასოციაციები, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი ამ გვარი ასოციაციები, ჩვენთვის ეხლანდელ-დროში შეუძლებელი იქნება და ამის მიზეზით უნდა დავივიწყოთ იმ ასოციაციების დაფუძნება, რომლებიც უფრო შეეთანხმება ჩვენს სწავლას და გარემოებას.—შემდეგ, როდესაც გამოიკვლევინა გარემოებები და შეგვეძლება შეუდგეთ უფრო ძნელ საქმეს, მაშინ უნდა დავივიწყოთ სხვა ასოციაციების გამართვა.—

ასოციაციის შეადგენენ რამდენიმე წევრნი, რომელთაც მოისურვებს რომელიმე სასარგებლო საქმის აღსრულება.—მაგრამ რადგანაც ყოველი საქმის დაწყობისათვის საჭიროა მატერიალური ღირსი ძიება, ამის გამო ასოციაციის წევრები ურთიერთის თანხმობით, ერთმანეთში აგროვებენ იმოდენა ფულს, რამდენიც საჭიროა პირველ დაწყობისათვის.—შოველ ასოციაციაში არის დებულება, რომელიც მოითხოვს, რომ ყოველმა კაცმა, როდესაც ირიცხება ასოციაციის წევრათ, უნდა შეიტანოს პირველათვე დანიშნული ფული; ვერ უნდა შეიტანოს ასრედწოდებული პირველ-დროებითი (единовременный) შესატანი ფული, რომელიც შეაქვს მაშინ, როდესაც ჩაირიცხება წევრათ.—მაგრამ რადგანაც ზოგიერთისთვის ერთათ შეტანა ამისი ძნელი იქნება, ამის გამო ასოციაციებში არის მიღებული ჩვეულება, რომელიც ნებას აძლევს ყოველ წევრს, რომ ეს პირველ დროებითი შესატანი შეუძლიან შეიტანოს ასოციაციაში ნაწილ-ნაწილათ.—სხე მაგალითად, თუ ასოციაცია მოითხოვს, რომ პირველ-დროებით შესატანი უნდა იყოს 10 მან., შეიძლება ეს ერთი თუმანი ისე დაიყოს, რომ წევრმა ყოველთვეს შეიტანოს 3 მან. ან ნაკლები, ვინამ სურულად არ შესრულდება 10 მან.—მეორე მოვალეობა წევრისა არის, რომ უნდა შეიტანოს ცნობილი სუმა ყოველ თვეს, ამას ჰქვიათ საყოველთეო შესატანი (ежемесячный); ამ სუმის დანიშნავ დამოკიდებულია ასოციაციებზე.—ზოგიერთს ასოციაციებში წევრებს შეაქვთ ყოველ თვეს 10 კაპ. ზოგან კი 20 კ. ერთის სიტყვით ამის დანიშნავა წევრების შეძლებაზე დამოკიდებული.—ამ დანიშნულ ფულების შეტანა უნდა მოხდეს ყოველთვის დანიშნულ ვადაზე, რადგანაც თუ თავის დროზე არ შეიტანეს, შეიძლება საქმე დაბრკოლდეს, და წარმატების მაგიერ, შედგება.—აქ უნდა ვსთქვათ, რომ საყოველთეო შესატანი ფული სამუდამოთ საჭიროა მხოლოდ იმ ასოციაციებში, რომლებსაც უწოდებენ „შემნახველ კასას“ (сберегательная касса), ან „ურთი ერთის შემწეობის კასას“ (касса взаимного вспомоществования) და სხ.—ამ კასებში საყოველთეო შესატანი იმისთვის არის საჭირო, რომ ამისთანა ასოციაციებს არა აქვთ მხედველობაში აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, რომლითაც შეიძლება სიმდიდრის მოპოვება.—ის კასები დაფუძნებულნი არიან საკუთრად ღარიბი მუშებისათვის, რომელთაც შეაქვთ თითო გროშობით შესანახავათ, რადგანაც ერთს კაცს არ შეუძლიან თითო გროშობით ფულის გადადება და ისე მოაგროვოს შემდეგისათვის საცხოვრებლათ საკმაო ფული, მაშინ როდესაც კასაში რამდენიმე ასი კაცი რომ შეიტანს

თითო გროშს, მოგროვდება საკმაო ფული, რომელიც უფრო ადვილი შესანახავი იქნება.—ზარდა ამისა კასა აძლევს შემწეობას, როდესაც ესენი ან აეთ არიან, ან სხვა ვაჭრობულ მდგომარეობაში ჩაყარდებიან.—ამ კასასა, აქვს მხოლოდ ორი საშუალება ფულების მოგროვებისა, რომელზედაც ჩვენ ზევით მოვილაპარაკეთ.—შამისოთ იმას არ ექნებოდა არაფერი ღირსი-ძიება, რომ აესრულებინა თავისი განზრახვა;—მაშინ როდესაც სხვა ასოციაციებისთვის საყოველთეო შესატანი საჭიროა მხოლოდ პირველ ხანებში, რომ როგორმე დაიწყონ საქმე; შემდეგ როდესაც დაიწყებენ ვაჭრობას, აღებ-მიცემობას, შეიძლება ამ ვაჭრობით საკმაო მოგება შეიძინონ და მოგებული სუმიდან გადაზღონ ცნობილი ნაწილი საზოგადო საჭიროებისთვის;—და ამის შემდეგ მოსაზრ საყოველთეო შესატანი, და მხოლოდ გამოართვან ასოციაციაში შემსვლელს კაცს, მხოლოდ პირველ-დროებითი შესატანი ფული.—ზოგიერთ ადგილებში, როდესაც წევრებს არა აქვთ იმოდენა შეძლება, რომ დანიშნულ ღირსდინ მოაგროვონ საჭირო ფული, მაშინ ასოციაციის წევრები ურთიერთის თანხმობით გამოსცემენ აქციებს, რომლის ფასი იმათზე დამოკიდებული.—აქციებს აქვთ სხვა და სხვა ფასი:—ზოგი ფასობს ხუთ მანეთათ, ზოგი ას მან.—როგორც სარგებლობენ აქციებით, მკითხველი დანიხავს აქ წარმოადგენილი მაგალითად.—

ასოციაციის წევრათ უნდა მიიღებოდეს ყოველი კაცი, როგორც გლენ-კაცობა, ისე თავად-აზნაურობა.—ასოციაციაში წევრათ არ უნდა იყოს განსაკუთრებით არც თავადი და აზნაური და არც გლენ-კაცი.—შამისოთ ჩვენს ხალხში იქნება ისევე ის განყოფილება, რომელიც აისობს ეხლაც ამ ორს მხარეს შუა.—როდესაც ასოციაციაში მიიღებიან ერთი და მეორეც, მაშინ ამათ შუა გავრცელება ერთობა, ნდობა, რომელიც საჭირონი არიან ჩვენი კონომიური წარმატებისათვის. შეეთესათ გაიკნობენ ურთიერთის საჭიროებას, ექნებათ ერთი საზოგადო ინტერესი და ამით უფრო ადვილათ და სწრაფათ მიადწევენ უკეთეს, ცხოვრებამდინ და განათლებამდინ. ჩვენ ახლა უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ საგანზე, რომელიც შეეხება ასოციაციის დაწყობილობას.—

ასოციაციისთვის საჭიროა არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ ამისთვის აგრეთვე საჭიროა მმართველობა.—ამის მიზეზით წევრნი იკრიფებიან საზოგადო კრებაში.—აქ ისინი განიხილვენ ყოველ გარემოებას, განიხილვენ ყოველ საშუალებას, რომლითაც უნდა დაიწყონ საქმე, სწვიენ თავისთვის კანონებს.—ბევრჯერ რამდენიმე კრება უნდებათ ამ კანონების დასაწერათ; ამ კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ წევრნი.—ძანონი უეჭველათ უნდა შეეთანხმებოდნენ იმათ გარემოებას.—შემდეგ, როდესაც ყოველი საქმე ვათავებულობია, შეუდგებიან იმ პირების ამორჩევას, რომელთაც უნდა ადვენონ თვლი ასოციაციის საქმეს და აღსრულონ ის მოვალეობანი, რომლებსაც მოითხოვს ღებულება.—ამორჩეულნი პირები წარუდგენენ ანგარიშს დანიშნულ დროზე მთელ საზოგადოებას; აცნობებენ რაც საჭიროა წარმატებისათვის და შემდეგ საზოგადო კრებაში წევრნი სჯიან ამ საგანზე.—შოველ წევრს აქვს უფლება ადვენოს თვლი ამორჩეულ პირების მოქმედებას და, თუ შენიშნა რომელიმე მრუდობა, აცნობოს საზოგადო კრებას.—ჩვენ ეს უკანასკნელი სიტყვები ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, მისთვის რომ როდესაც რომელიმე საქმე სრულდება დაუფარავათ და ყოველი ცხადათ ხედავს ამორჩეულ კაცების მოქმედებას, მაშინ ეს ამორჩეულნი პირები უფრო ფრთხილათ იქნებიან და ვეღარ შეეძლებათ

მოტყუება, რადგანაც საზოგადოება მალი შეიტყუებს და სასტიკათაც გადახდევინებს. თეთოთეულ წევრს არას ფერი უფლება არ უნდა ჰქონდეს, ვარდა იმისა, რომ ადვენოს თვლი ამორჩეული კაცების მოქმედებას; მისთვის რომ თუ მართლა წევრ მისცეს სრული უფლება, მაშინ შეიძლება ყოველმა წევრმა შეაბრკოლოს საქმე, ცუდათ ისარგებლოს თავისის უფლებით და ხშირათ ამის დასასრული იქნება ასოციაციის დაშლა.—თუ მართლა წევრმა შენიშნა რომელიმე მოქმედება ცნობილ კაცს, მაშინ იმისივე ინტერესი მოითხოვს და იძულებული უნდა იყოს, რომ წარუდგინოს საზოგადოებას თავისი შენიშვნა, აზრი,—და შემდეგ თვითონ ეს კრება განიხილავს ამ შენიშნულს მოქმედებას.—ასოციაციაში ამორჩეული პირები ასრულებენ სხვა და სხვა თანამდებობას; ზოგი ასრულებს კასირის თანამდებობას, ზოგი დირექტორისა და სხ.—ზოგი ერთს ასოციაციაში ერთი და იგივე ამორჩეული კაცი ასრულებს რამდენიმე თანამდებობას, რადგანაც ცნობილ დროს საჭირო არ არი, რომ შრომის დაყოფილება სისრულეში იყოს მოყვანილი.—

ასოციაციებში არის შედგენილი საზოგადო მართველობა, რომელსაც წარუდგენს ამორჩეული პირი თავის მოქმედების ანგარიშს; ეს საზოგადო მმართველობა ადვენებს თვალს ასოციაციის ყოველ საქმეს.—ის საზოგადო მართველობა წარუდგენს თავის ანგარიშს საზოგადო კრებას.—ამ კრებაში უნდა დაესწრენ ცნობილი რიცხვი წევრებისა.—ამ შემთხვევისთვის წინათვე, როდესაც განიხილვენ კანონებს, უნდა გადაწყვიტონ—რამოდენი რიცხვი უნდა მოგროვდეს საზოგადო კრებაში, რომ ეს კრება იყოს კანონიერი, ანუ ამ კრების გარდაწყვეტილება აღარ შეიცვლებოდეს.—ის საზოგადო კრება უნდა მოგროვდეს, ჩემის ფიქრით, ყოველ ოთხს ან სამს თვეში ერთხელ, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში საკმაო საქმე მოგროვდება, რომელიც მოითხოვს განიხილვას.—

ამორჩეულ პირებს რასაკვირველია ეძლევათ ჯამაგირი, თუ ასოციაციას აქვს იმოდენა შემოსავალი, რომ ჯამაგირის მიცემა შეუძლია.—როდესაც ასოციაციას არა აქვს საყოფი შემოსავალი, მაშინ საზოგადო კრებამ უნდა ამორჩიოს იმისთანა კაცები, რომელთაც შეუძლიანთ თავისის ხარჯით ემსახურონ რამდენიმე ხანს საზოგადოებას, რომ შემდეგ შეიძლებოდეს ჯამაგირის მიცემა.—ზოგიერთ ადგილას ამორჩეულ პირებს წინათვე უნიშნენ ჯ.ამაგირს; მაგრამ ზოგან კი არის მიღებული ის პრინციპი, რომ ჯამაგირის მაგიერ, უნდა ეძლეოდეს ცნობილი პროცენტი კაპიტალის ყოველ დატრიალებას, რომელიც არის დანიშნული ვაჭრობისთვის, ესე იგი რომელსაც ჰქვიათ მოძრავი კაპიტალი (оборотный капитал).—ამ ჩვეულებას აქვს ის ღირსება, რომ ამორჩეული კაცი უფრო სტილილბს მომატებული შესძინოს ასოციაციას, მისთვის რომ რამდენათაც მომატებულათ დატრიალდება წელიწადში კაპიტალი, იმდენათ მეტი სუმი ერგება ამორჩეულ პირს.—ის ჩვენ მხედველობაში უნდა გვექონდეს, რადგანაც სჯობს, ჯამაგირის მაგიერ, თუ შეიძლება ეს ჩვეულება მივიღოთ, თუ როდისმე ვაკეთდა ჩვენში ასოციაცია.—ის ჩვეულება სასარგებლოა, როგორც ამორჩეულისთვის, ისე საზოგადოებისთვის, რადგანაც ამორჩეული უფრო ღიდის ბევრითობით მოეკიდება საქმეს.—ამორჩეულის ინტერესი არის, ვარდა დივიდენდისა, რომელიც ერგება ასოციაციადამ (დივიდენდზე ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ) ჰქონდეს მეტი შემოსავალი, რომელიც ექნება მაშინ, როდესაც თვითონვე აქვს რომელიმე ინტერესი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მეტი შემოსავლის

\*) მულდენი—64 კაპიკი.

შეძენა.—მს ჩვეულება, მე ვგონებ, სხვა ჩვეულებებზე უკეთესია და ამის მიზეზით საქმის წარმატება იქ უკეთესი იქნება, სადაც ამას მიიღებენ.—მართლათა, გამოცდილება გვიმოტყუებს, რომ ასოციაციის საქმეს, სადაც აქეთ მიღებული ეს ჩვეულება, ამორჩეული პირები უფრო სინიდისიანთ და ბევრითა ასრულებენ.—

(შემდეგი იქნება).

მებალა.

(ნეკროსოფიდან).

ტყეში საცარცვალ მე არ მივიღია, პერტ ქურდობასა შემწამებს ვერვინ; ჩემი სიცოცხლე დაღუპულია ჩემი ბატონის ლამაზ ქალსთვინ.

ბატონის ბაღში ერთხელ ზაფხულსა მე ვმუშაობდი და თან ვმღეროდი; იქ მოსულიყო დარდი გულისა და ყურს მიგდებდა-როგორ ვიმღერდი.

ბევრი სოფელი და ქალაქებიც მე დამივილია ჩემს სიცოცხლეში, ბევრი მინახავს იქ ლამაზებით; მაგრამ იმას არ გავცვლი არც ერთში.

შავ თვალ-წარბა და თეთრ ყირმიზსა ქალს, მე შევეყურებდი გაშტერებულნი! მე მისი ეშვი მიღუემებს ენას და მაწყვეტინებს ჩემსა სიმღერას.

საყვარლებისგან გამიგონია,

რომე მახინჯი ბიჭი არც მე ვარ, რომ ჩემი ლოკა ხე და ლინთა, ხეუჭუ თმანი, დარდიმანდი ვარ!

რაღაც იმედსა ვაძლევდი თავსა... მაგრამ შევხედე ბატონის სახლებს და მომაგონდა ვინა ვარ მე და ვინ არის ის... ხელი მოვიკიდე ისევ ჩემს საქმეს.

მას აქეთ ხშირად ის მოდიოდა და დაჰყურებდა ჩემს მუშაობას; ხან რას ჰებოდებოდა, ხან იცინოდა; „რამ მოგაწყინა?“ მეუბნებოდა;

მთავს გავიქნედი დაღონებულად და არაფერსა არა ვეტყუოდა. „მომე ვაშლს დავრგავ შენს მაგიერად; შენ შეისვენე-მგონი დალალი.“

— ბლესის შეწვევა ცოლდა არა არს. მიიბრვი ბაიო, ბატონის ქალი! და როს მართხედა ხელიდანა ბარს, ჩემ ხელზე ბეჭედს თვალი მთავლო.

ღრუბლიან დღისებერ აემღერა თვალი და გაუწითლდა სახე, ტუჩები. — რადგამართა, ბატონის ქალი? ასე უბრალოდ რაზედა მსწერები?

„მისგანა გაქვს შენ ოქროს ბეჭედი?“ — მალე ბერდება, ვინც იცის ბევრი! „მიხედე მაინც—ერთიც შეგებლი!“ და თითში მსტაცა ხელები თეთრი.

მე არ ვაძლევდი ოქროს ბეჭედსა...

მაგრამ მახინჯი ბიჭი რომ არ ვარ, მს მომაგონდა და გულის დარდას აჩვიედი-როგორ—კონა მიგაკარ.

ამისა შემდეგ მებალეს ხშირად მთავს სატრფოსთან უქვიფნი; ხშირად ჰკოცნიდა, იმღერდენ ხშირად; ბევრი სიამეც გამოუტლია.

მაგრამ ზამთარიც შემდეგ მოვიდა როცა ბრუტუნებს ფეხ-ქვეშ ყინული. და როც სატრფოსთან მიიპარდა „მურდი!“ იუვირეს და სტაცეს ხელი...

ზანსაზარებლად მე წამართვის... სირცხვილის გამო ხმას არ ვიღებდი; სამართებლითა თავი გამპარეს, რკინის ბორკილი ფეხებს დამადეს...

მაი ფავალით იქ გამაგზავნეს სიღნაღ კაცი ძვირად ბრუნდება... შერწმუნეთ, მშებო! გლესს არ შეგშენის ახნაურისა ქალის ყვარება.

სამაჰრო ცნობები.

მთავარ სამმართველოს წინადადებისა გამო ქ. შუთისის მუხრანის სასამართლოში ამ წლის 3 ივნისს იქმნება ვაჭრობა სიმონეთის, ზესტაფონის, ბელოგორის და მალითის სტანციების შექმნების თაობაზე. შასი პოლიციის ოთხსა სამოცდა ათი თუმანი, ექვსი მან. და 13 კაპეკია (4706 მ. 13 კაპ). დანიშნული.

მაკრობა დიწყება თერთმეტ საათზე და გარდაცვლილი სამზე.

მისაც ჰსურს რომ ვაჭრობაში გაერთოს, იმან დაწესებულ ღებრის ქალაღზე უნდა წარადგინოს: 1) პასპორტი, ან სხვა რამ იმის ვინაობის დამამტკიცებელი ქალაღი; 2) პოლიციიდან ქალაღი, რომ იმას ხაზინასთან კარგათ შეუსრულებია უწინდელი პოლიციადები; 3) ამას გარდა იმან უნდა წარმოადგინოს ვიროთ საპოლიციო ფულის მესამედის თანასწორი ფული, ესე იგი 1,568 მან. და 71 კაპ.

შოველს მსურველს შეუძლია ნახოს მუხრანის სამმართველოში დიდიდან ორს საათამდე ამ საქმისთვის საჭირო პლანები, ანგარიშები და პირობები.

მაკასიის აქეთა მხრის პრიკაზის განკარგულებით ამ წლის 11 ივნისისდინ დანიშნულია ვაჭრობა ქვემოხსენებულთ შორის და ღუშეთის უფლის მე-ბატონების მამულის გასასყიდათ პრიკაზის ვალის გარდასახვად: 1) ახნაური იოსებ ივანეს ძის წინამძღვარისა; 1859 წ. 1750 მანეთში დაგირაგებულა მისი ღუშეთის უფლის, სოფ. ხუბრანთ-კარის მამული. მართა სარიდონოვისა—მზიაშვილის ქალი-სა; 1858 წ. 1000 მანეთში დაგირაგებულია ვენახი, წისქვილი, და ღუშეთის უფ. სოფ. ახატანში-ღუშენები 3) ახნაურის ილია სოლომონის ძის თურქისტანოვის 1859 წ., 2500 მანეთში დაგირაგებულია მისი მამული შორის უფლის, სოფელს თელაღორს. 4) პოდპარტიკის კნ. ასლან ნიკოლოზის ძის თარბან-მოურავის, 1860 წ. 2,000 მანეთში დაგირაგებულია მისი 3 ვენახი შორის უფლის სოფელში ახალქალაქს და აქეთისხევეს.—ამ მამულის შექმნის მსურველს შეუძლია მივიდეს დანიშნულ რიცხვს ღუშეთის და შორის უფლის სამმართველოებში და ნახოს შემოხსენებული გასასყიდი მამულების აწერა.

განცხადება

სამართლებლოს კარბა. მართულ ენაზედ, სქელ და თეთრ ქალაღზედ დაბეჭდილი, ისყიდება მელიქიშვილის და კ. სტამბაში და სასულიერო სემინარიისაში. შასი 30 კაპეკი.

ა. შუთისის შემოსავალი, 1868 წლისა.

Table with 5 main columns: შემოსავალი სახელები, დებულობით უნდა შემოსულიყო, ნამდვილ შემოსევიდა, უნდა შემოსევიდეს 1869 წელს, არ გარდაუხდებიან. Includes rows 1-27 with various tax items and their amounts.

შუთისის განსავალი, 1868 წლისა

Table with 5 main columns: განსავალი სახელები, დებულობით უნდა დახარჯულიყო, ნამდვილ დახარჯვა, უნდა დაიხარჯოს 1869 წელში, დარჩება და არ გარდაიხდება. Includes rows 1-23 with various tax items and their amounts.